ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 151

"22" მაისი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის შპს „ თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტისა და 127-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 13 მაისის №19.02.544 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" (ს/კ202886788) შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების" (1.2.1) და „სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდიის" (1.2.5) ქვეპროგრამებით გათვალისწინებულ ასიგნებებიდან, შესაბამისად 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის და 811 400 (რვაასთერთმეტი ათას ოთხასი) ლარის ოდენობით, მის კაპიტალში ფულადი შენატანის განხორციელებაზე.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი